ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №713474

ნომერი: AR1133723

თარიღი : 24.05.2013

გაცემის თარიღი : 29.05.2013

გაცნობის თარიღი : 01.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სარაჯიშვილის გამზირი N3 (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი N65); ქალაქი თბილისი , სარაჯიშვილის გამზირი N3 (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი N65);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიქტორ ჯანგირაშვილი პ/ნ 01026011388
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 12 ბ. 42

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, სარაჯიშვილის გამზირი N3, (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი N65)–ში, ს.ს. "სარაჯიშვილი"–ს საკუთრებაში არსებულ ფართების ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოების განხორციელების ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.11.05.036.012.01.507; #01.11.05.036.012.01.508; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, სარაჯიშვილის გამზირი N3, (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი N65)–ში, ს.ს. "სარაჯიშვილი"–ს საკუთრებაში არსებულ ფართების ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge